ბიზნეს გეგმის ფორმატი და შინაარსი

დასრულებული ბიზნეს გეგმა შედგება:

- უშუალოდ ბიზნეს გეგმა ერთიანი დოკუმენტის სახით MS Word და PDF ფორმატში, თანმხლები ფინანსური უწყისებისა და დამხმარე ცხრილებით MS Excel ფორმატში;
- ბიზნეს გეგმის პრეზენტაცია;

ნაწილი 1 - ბიზნეს გეგმის ფორმატი და შინაარსი

1. ფორმატი

1.1. ენა - ბიზნეს გეგმა შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე;

1.2. ბიზნეს გეგმა წარმოდგენილი უნდა იყოს ერთიანი დოკუმენტის სახით MS Word და PDF ფორმატში, დოკუმენტში გაერთიანებული უნდა იყოს ყველა ფინანსური უწყისი, ცხრილები და დანართები, დანართების ცალკე დოკუმენტებად წარმოდგენა დაუშვებელია;

1.3. ფონტი - Sylfaen, გამონაკლისს წარმოადგენს დანართების სახით წარმოდგენილი დოკუმენტაცია;

1.4. ფონტის ფერი - შავი;

1.5. ფონტის ზომა - 10 ან 11 (გარდა საკითხების სათაურებისა, ფონტის ზომა, სურვილის შემთხვევაში შეიძლება აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის ფონტის ზომას მაქსიმუმ 2 ერთეულით) - გამონაკლისს წარმოადგენს დანართების სახით წარმოდგენილი დოკუმენტაცია;

1.6. სტრიქონებს შორის დაშორება - 10 იანი ზომის ფონტის შემთხვევაში - 1,5, 11 იანი ზომის ფონტის შემთვევევაში 1,15;

1.7. ბიზნეს გეგმის ტექსტის ძირითად ნაწილში დაუშვებელია Bold, Italic და Underline გამოყენება, გამონაკლისს წარმოადგენს ბიზნეს გეგმის თავებისა და ქვეთავების სათაურები, სქოლიოები, შენიშვნები, ცხრილების, დიაგრამებისა და სქემების დასათაურება და ასევე ის შემთხვევები, როდესაც ავტორის მიერ ხდება ცალკეული სიტყვის, ფრაზის ან აზრის გამოყოფა;

1.8. გვერდების ნუმერაცია - ყველა გვერდი გარდა თავფურცელისა, სარჩევისა და დანართებისა უნდა იყოს დანომრილი, თუმცა თავფურცლის და სარჩევის გვერდების რაოდენობის გათვალისწინება უნდა მოხდეს ნუმერაციაში. გვერდის ნომერი განთავსებული უნდა იყოს გვერდის footer -ის, შუა ადგილას;

1.9. ბიზნეს გეგმის მთელი ტექსტი გამოთანაბრებული უნდა იყოს მინდვრებს შორის, გარდა იმ სტრიქონებისა, რომელიც სრულად ვერ ავსებს მინდვრებს შორის მანძილს და ამავდროულად შემდგომი წინადადება იწყება ახალი აბზაცით - ე.წ. Justify;

1.10. ბიზნეს გეგმის მთელი ტექსტის მინდვრები (ე.წ. margin ები) უნდა იყოს ერთი ზომის, იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებულია საკითხების რამოდენიმე დონიანი ე.წ. numbering ან bullet, ერთიდაიგივე დონის საკითხების მარჯვენა მინდორი (margin) უნდა იყოს ერთი და იგივე;

1.11. ცხრილები, დიაგრამები და სქემები - ბიზნეს გეგმაში არსებული ყველა ცხრილი, დიაგრამა და სქემა უნდა იყოს დანომრილი და დასათაურებული, ამავდროულად ცხრილების, დიაგრამების და სქემების ნუმერაცია ხორციელდება ცალ ცალკე, რაც ნიშნავეს, რომ მათ ცალ ცალკე რიგითობა აქვთ. ნუმერაციის კუთხით გამონაკლისი შეიძლება იყოს ფინანსური უწყისები - მოგება ზარალის უწყისი, ბალანსი, ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი.

1.12. ბიზნეს გეგმაში არსებული თითოეული ცხრილი (ფინანსური უწყისების ჩათვლით), დიაგრამა, სქემა განთავსებული უნდა იყოს ერთი გვერდის ფარგლებში, დასაშვებია იმ გვერდის მინდვრების (margin ების) გაფართოება, ან გვერდის „ორიენტაციის შეცვლა“ რომელზეც განთავსებულია ცხრილი. იმ შემთხვევაში თუ ცხრილი ვერ თავსდება ერთი გვერდის ფარგლებში, შემდგომ გვერდზე ცხრილის ნაწილის გადატანისას, მითითებული უნდა იყოს რომ ეს არის შესაბამისი ცხრილის გაგრძელება და ყველა კოლონის სათაური უნდა იყოს განმეორებული.

1.13. ცხრილებში, დიაგრამებსა და სქემებში გამოყენებული ფონტის ზომა არ არის დადგენილი, თუმცა ყველა დასახელება და რიცხვი უნდა იკითხებოდეს;

1.14. სხვადასხვა:

1.14.1. თავფურცელი - აუცილებელი წესით ასახული უნდა იყოს შემდეგი მონაცემები: ბენეფიციარის დასახელება (იმ იურ. პირის დასახელება, რომელიც განიხილება თანადაფინანსების მიმღებად), სააგენტოში განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, დარგი, გადამამუშავებელი საწარმოს ტიპი, რაიონი, რეგიონი;

1.14.2. სარჩევი - უნდა იყოს დანომრილი და სარჩევში მითითებული ყველა საკითხის გასწვრივ შესაბამისი გვერდის ნომერი;

1.14.3. ქვეთავების ნუმერაცია არ არის სავალდებულო.

2. შინაარსი

2.1. თავი - მიმოხილვა

2.1.1. ბიზნეს იდეის მოკლე აღწერა;

2.1.2. წარმატების განმაპირობებელი ფაქტორები - სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი;

2.1.3. გეგმური მაჩვენებლები - საწარმო სრული სიმძლავრით ამოქმედებისას მიღწეული გაყიდვების, წარმოების, გადამუშავებული ნედლეულის და ა.შ. მონაცემები, გეგმიური მაჩვენებლების მიღწევის ვადა;

2.1.4. ნულოვანი მოგების წერტილი - როგოც ფულად გამოხატულებაში, ასევე რეალიზებული პროდუქციის მოცულობით გამოხატულებაში;

<u>შენიშვნა</u> - მიმოხილვის თავში ჩამოთვლილი საკითხების ცალკე ქვეთავებად გამოყოფა არ არის სავალდებულო.

2.2. თავი - მფლობელობა, მენეჯმენტი და პერსონალი

2.2.1. ქვეთავი - ორგანიზაციის იურიდიული სტატუსი და ისტორია

- აუცილებელი წესით ასაღწერი საკითხები
  - დაფუძნების თარიღი, საქმიანობის ისტორია მიღწეული შედეგები - უკანასკნელი 3 წლის გაყიდვების მოცულობა (უნდა დასტურდებოდეს საგადასახადო დოკუმეტაციით და დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ბიზნეს გეგმის დანართად), აქტივების მოცულობა, უკანასკნელი 3 წლის მოგება (უნდა დასტურდებოდეს საგადასახადო დოკუმენტაციით) იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დაფუძნებულია მიმდინარე წელს - დაფუძნების თარიღი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ კომპანია რომელმაც უნდა მიიღოს გრანტი არ არის დაფუძნებული, მხოლოდ მისი დასახელება (რომელიც დაერქმევა კომპანიას დაფუძნების შემთხვევაში);

2.2.2. ქვეთავი - მფლობელთა ჩამონათვალი წილობრივი მითითებით

- აუცილებელი წესით ასაღწერი საკითხები
  - ბენეფიციარი კომპანიის (ის კომპანია რომელმაც უნდა მიიღოს გრანტი) ყველა დამფუძნებელი სახელი, გვარისა და პირადი ნომრის მითითებით, იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დაფუძნებულია ან უნდა დაფუძნდეს სხვა იურ. პირის მიერ - დამფუძნებელი კომპანიის დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი, საქმიანობის სფერო და მისი ყველა დაფმუძნებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი.
  - ბენეფიციარი კომპანიის დამფუნებლების საქმიანობის აღწერა - მიმდინარე სამუშაო ადგილი, წილები სხვადასხვა კომპანიებში, შემოსავლები (შემოსავლები და წილები დადასტურებული დოკუმეტურად, დამადასტურებელი დოკუმენტაცია ასევე უნდა იყოს ბიზნეს გეგმის დანართი). განხორციელებული პროექტები, მათი ბიზნეს გამოცდილება და ა.შ.

2.2.3. ქვეთავი - საწარმოს საკვანძო პერსონალი და მათი კვალიფიკაცია

- აუცილებელი წესით ასაღწერი საკითხები
- საწარმოში რომელი პოზიციები წარმოადგენს საკვანძო პოზიციებს, რა გარემოებებით არის განპირობებული ამ პოზიციების მნიშვნელობა საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებაში. საკვანძო პოზიციებზე დასაქმებულ პირთა კვალიფიკაცია, მათი რეზიუმედან იმ ძირითადი ნაწილის ამონარიდი, რომლითაც დასტურდება მათი კვალიფიკაცია (საკვანძო პერსონალის სრული რეზიუმეები უნდა წარმოადგენდეს ბიზნეს გეგმის დანართს).

  შენიშვნა - შესაძლოა საწარმოს საკვანძო პერსონალი არ იყოს დაქირავებული პირები და იყოს კომპანიის დამფუძნებელი, ამ შემთხვევაში არგუმენტირებული უნდა იყოს დამფუძნებლის გამოცდილება როგორ უზრუნველყოფს საწარმოს წარმატებას. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს საკვანძო პერსონალი არ გააჩნია არაფრის მოგონება არ არის საჭირო.

2.2.4. ქვეთავი - თანამშრომელთა რაოდენობა

აუცილებელი წესით ასაღწერი საკითხები

- დეტალურად უნდა იყოს აღწერილი თანამშრომლების გეგმიური რაოდენობა პოზიციებისა და ანაზღაურების (დარიცხული საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით) მითითებით, ასევე საწარმოს თანამშრომლების რაოდენობის სეზონური ცვლილების შემთხვევაში - გამიჯნული უნდა იყოს სეზონზე და მთელი წლის განმავლობაში თანამშრომლების რაოდენობა (გამიჯნვა შესაძლებელია განხორციელდეს ერთი და იგივე ცხრილის ფარგლებში). საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობა უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული და ამ ქვეთავში წარმოდგენილი სახელფასო ანაზღაურება უნდა ემთხვეოდეს ფინანსურ მოდელში გათვალისწინებულ მონაცემებს. იმ შემთხვევაში, თუ განსხვავდება - დასაბუთებული უნდა განსხვავების განმაპირობებელი ფაქტორები (დასაბუთება შესაძლებელია განხორციელდეს ან ამ ქვეთავში, ან ფინანსური მოდელის დაშვებების ქვეთავში);

2.3. თავი -პროდუქტები

2.3.1. ქვეთავი - გამოსაშვები პროდუქტი -

ქვეთავში აუცილებელი წესით დეტალურად აღწერილი უნდა იყოს, საწარმოს მიერ გამოსაშვები ყოველი პროდუქტი ცალ ცალკე, ამასთან ერთად თითოეული პროდუქტის აღწერა უნდა მოიცავდეს:

- რა ტიპის პროდუქტს წარმოადგენს საბოლოო პროდუქცია, იგულისხმება ეს არის ე.წ. შუალედური პროდუქტი შემდგომი გადამუშავებისათვის (ან თუნდაც შემდგომი დაფასოებისათვის, კუპაჟირებისათვის და ა.შ.) თუ საბოლოო პროდუქტი, რომელიც დახლზე ან შესაბამის საცალო სარეალიზაციო ქსელში განთავსდება იმ სახით, რომლითაც საწარმო მოახდენს მის წარმოებას;
- პროდუქტის მახასიათებლები - მახასიათებლები განსხვავდება გამოსაშვები პროდუქტების მიხედვით, წარმოდგენილ ბიზნეს გეგმაში მაქსიმალურად უნდა იყოს მახასიათებლები დეტალიზებული. დეტალიზაციაში შესაძლოა არ იყოს წარმოდგენილი კალორიულობა, ენერგო ღირებულება და ა.შ. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა მოთხოვნილ იქნას სააგენტოს მიერ ამ მახასიათებლების დამატებაც, როდესაც სწორედ ამგვარი მახასიათებლები წარმოადგენს კონკურენტულ უპირატესობას ან/და მის ძირითად მახასიათებელს;
- მზა პროდუქციის შენახვის ვადა და პირობები;
- დაფასოება და შეფუთვა - რა მოცულობებით მოხდება ბიზნეს გეგმით გათვალისწინებული ყველა ცალკეული პროდუქტის დაფასოება და ასევე უნდა იყოს საკმარისად არგუმენტირებული დაფასოებების მითითებული მოცულობის განმაპირობებელი გარემოებები, შეფუთვისა და შესაფუთი მასალების დეტალები (აუცილებელია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც,

პროდუქციის შეფუთვა განაპირობებს პროდუქციის შენახვის ვადას, ან რაიმე სახის კონკურენტულ უპირატესობას);

2.3.2. ქვეთავი - პოზიციონირება

- აუცილებელი წესით აღწერილი უნდა იყოს, რომელ საფასო სეგმენტში გეგმავს საწარმო საკუთარი პროდუქციის პოზიციონირებას, რა თავისებურებები ახასიათებს სეგმენტს და რითი არის განპირობებული წარმოდგენილი პოზიციონირების გადაწყვეტილება (პოზიციონირების აღწერა უნდა განხორციელდეს იმისდა მიუხედავად წარმოებული პროდუქცია განკუთვნილია საცალო სამომხმარებლო ბაზრისათვის, თუ შემდგომი გადამუშავებისათვის)

2.3.3. ქვეთავი - ფასწარმოქმნა და თვითღირებულების სტრუქტურა

აუცილებელი წესით აღწერილი უნდა იყოს:

- ფასწარმოქმნის სტრატეგია, რომელიც გულისხმობს - დაგეგმილი აქვს თუ არა კომპანიას საბაზრო კონიუნქტურის ან სეზონურობის მიხედვით საკუთარი მარჟის ცვლილება, თუ ეცდება შეინარჩუნოს ფიქსირებული ფასი მთელი წლის განმავლობაში. რა გარემოებებით არის განპირობებული აღნიშნული გადაწყვეტილება;
- პროდუქციის ფასები - ერთიანი ცხრილის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი საწარმოს მიერ გამოშვებული თითოეული პროდუქტის მიხედვით საწყობიდან სარეალიზაციო ფასი, საცალო სამომხმარებლო ქსელში განთავსებისას ფასი, საბოლოო მომხმარებლისათვის ფასი (ფასების შედარების სიმარტივისათვის ყველა ფასი უნდა იყოს წარმოდგენილი დღგ - ს ჩათვლით). გამონაკლისს წარმოადგენს იმ საწარმოების ბიზნეს გეგმა, რომელთა პროდუქცია არ არის განკუთვნილი საბოლოო მომხმარებლისათვის და საჭიროებს შემდგომ გადამუშავებას. ფასების ცხრილის შედგენისას ერთი და იგივე პროდუქტის სხვადასხვა მოცულობის შეფუთვების გათვალისწინება და ფასების ცხრილის შედგენა შესაძლებელია განხორციელდეს კილოგრამებში ან ტონებში;
- თვითღირებულების სტრუქტურა - ცხრილის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი ყველა გამოსაშვები პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურა სააგენტოსთან შეთანხმებული ფორმატით;

2.3.4. ქვეთავი - კონკურენტი / სუბსტიტუტი პროდუქტები და უპირატესობები კონკურენტების პროდუქტებთან შედარებით

- აუცილებელი წესით აღწერილი უნდა იყოს:
  - კონკურენტი პროდუქტების ძირითადი ნაწილი (იმ შემთხვევაში თუ მსგავსი პროდუქტების რაოდენობა დიდია, რამოდენიმე ტიპიური პროდუქტის აღწერა საკმარისი იქნება), კონკურენტი პროდუქტების არ არსებობის შემთხვევაში კი აღნიშნული ახსნილი და დასაბუთებული უნდა იყოს სათანადოდ.

- სუბსტიტუტი პროდუქტები - წარმოდგენილი უნდა იყოს ის პროდუქტები რომლებიც შესაძლოა წარმოადგენდნენ საწარმოებელი პროდუქტის ალტერნატივას მახასიათებლების კუთხით და წარმოდგენილი იყოს იგივე საფასო სეგმენტში.
- ქვეთავში აუცილებელი წესით უნდა იყოს შედარებული დასაფინანსებელი საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქტის ფასები კონკურენტი და სუბსტიტუტი პროდუქტის ფასებთან, ამავდროულად შედარებები განხორციელებული უნდა იყოს შესადარის ფორმატში - (იმ შემთხვევაში თუ შეფუთვების მიხედვით ფასები განსხვავდება, უნდა მოხდეს ფასების გაერთმნიშვნელიანება და წარმოდგენა ან კილოგრამებში ან ტონებში), ფასების წარმოდგენა უნდა მოხდეს ან მაღაზიის დახლზე არსებული ფასებით, ან შუალედური პროდუქციის წარმოების შემთხვევაში - შემსყიდველისათვის მისაწოდებელი ფასებით;
- შედარების შედეგად გამოყოფილი უნდა იყოს კონკურენტული უპირატესობა და ამავდროულად დასაბუთებული. იმ შემთხვევაში თუ პრდუქტს არ გააჩნია კონკურენტული უპირატესობა არაფრის მოგონება არ არის საჭირო.

2.3.5. ქვეთავი - პირველად გამოშვების თარიღები

- აუცილებელი წესით აღწერილი უნდა იყოს, როგორც პროდუქციის პირველი პარტიის წარმოების თარიღი (დაგეგმილი ვადა), ასევე ბაზარზე / პოტენციურ შემსყიდველებისათვის პროდუქციის მიწოდების ვადები. რა გარემოებებზე არის დამოკიდებული ვადები.

2.3.6. ქვეთავი - პატენტირება / ლიცენზირება

- ეს ქვეთავი ბიზნეს გეგმაში წარმოდგენილი და აღწერილი უნდა იყოს, თუ კომპანია ან მისი დამფუძნებლები ფლობენ რაიმე პატენტს ან გამოსაშვები პროდუქცია ექვემდებარება ლიცენზირებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეთავი საერთოდ არ უნდა იყოს ბიზნეს გეგმაში წარმოდგენილი.

2.4. თავი - გასაღების ბაზრები

2.4.1. ქვეთავი - ბაზრების მიმოხილვა და სეგმენტების ანალიზი

- ამ ქვეთავში აღწერილი უნდა იყოს:
  - საწარმოებელი პროდუქციის ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრების მახასიათებლები, კერძოდ: არის თუ არა ორგანიზებული და ჩამოყალიბებული ბაზარი დადგენილი წესებით, შესვლის ბარიერი - რა სირთულეებთან არის დაკავშირებული ბაზარზე შესვლა (როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე საექსპორტო); იმ შემთხვევაში თუ რეალიზაცია იგეგმება მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე საექპორტო ბაზრების დეტალური ანალიზი არ არის აუცილებელი;
  - ბაზრის სეგმენტები და მათი ანალიზი;

- ადგილობრივი მოთხოვნისა და საექსპორტი მოთხოვნის ანალიზი (იმის მიხედვით რომელ ბაზარზე არის გათვლილი) საწარმოებელი პროდუქციის ბაზრების საერთო წლიური მოცულობა როგორც ადგილობრივის ასევე საერთაშორისო (იმ შემთხვევაში თუ გაყიდვები იგეგმება მხოლო ადგილობრივ ბაზარზე, საერთაშორისო ბაზრის ანალიზი არ არის სავალდებულო), როდესაც ბაზრის მოცულობის ზუსტი მონაცემები არ არსებობს, აუცილებელი წესით უნდა განხორციელდეს სავარაუდო მოცულობების დადგენდა და ბიზნეს გეგმაში წარმოდგენილი უნდა იყოს დაშვებები და ვარაუდი, რის მიხედვითაც არის განხორციელებული შეფასებითი მონაცემების დადგენა ან დასაბუთებული უნდა იყოს რატომ არ არის ამ მონაცემის ანალიზი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად. ასევე შესაძლებელია ცალკეულ შემთხვევაში ბაზრების დეტალიზაცია ვერ განხორციელდეს საწარმოებელი პროდუქციის დონემდე, ამ შემთხვაში შეფასებული უნდა იყოს ბაზრის ის ნაწილი რომელშიც გაერთიანებულია შესაბამის პროდუქცია და დასაბუთებული უნდა იყოს ამგვარი ვარაუდი;

2.4.2. ქვეთავი - გასაღების ბაზრების გეოგრაფია და მოთხოვნის განმაპირობებელი ფაქტორები

- ამ ქვეთავში აუცილებელი წესით წარმოდგენილი უნდა იყოს:
  - ჩამოთვლილი უნდა იყოს ყველა ის ქვეყანა სადაც იგეგმება პროდუქციის რეალიზაცია და შესაბამისი ქვეყნების მიხედვით ის გარემოებები აღწერილი, რომელთა მიხედვით მოხდა გადაწყვეტილების მიღება (გარემოებები უნდა აღწერილი იყოს ქვეყნების მასშტაბით და არა ცალკეული პოტენციურის შემსყიდველი კომპანიების მოთხოვნების მიხედვით);

2.4.3. ქვეთავი - კლიენტების / სამიზნე სეგმენტის დახასიათება

- ამ ქვეთავში აუცილებელი წესით წარმოდგენილი უნდა იყოს:
  - კომპანიის მიერ მხოლოდ საბითუმო რეალიზაციის დაგეგმვის შემთვევაში - პოტენციური კლიენტების (სადისტრიბუციო კომპანიების ან სავაჭრო ქსელების) ჩამონათვალი დაჯგუფებული ქვეყნების ჭრილში, მათი გამოცდილება, ადგილი შესაბამის ბაზარზე, პატნიორი ან საკუთარი ობიექტების / კომპანიების რაოდენობა, პროდუქციის ასორტიმენტი, და თანამშრომლობის პრინციპები - მიწოდების მინიმალური მოცულობები, მინიმალური ასორტიმენტი და ა.შ. ურთიერთგაგების მემორანდუმების არსებობის შემთხვევაში აღწერილი უნდა იყოს მემორანდუმიოს პირობები, ხოლო უშულაოდ მემორადუმი წარმოდგენილი უნდა იყოს ბიზნეს გეგმის დანართად;
  - იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარი კომპანია აპირებს საკუთარი ძალებით განახორციელოს პროდუქციის დისტრიბუცია - აღწერილი უნდა იყოს პროდუქციის საბოლოო მომხმარებელი ასაკობრივ და მსყიდველუნარიონობის ჭრილში. შესაბამის ბაზარზე შეფასებული უნდა იყოს მსგავსი მომხმარებლის რაოდენობრივი მონაცემები (ამ კუთხით ზუსტი მონაცმების დადგენა ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია, შესაბამისად მოანაცემები უნდა ეყრდნობოდეს გარკვეულ

დაშვებებს და აღწერილი უნდა იყოს ყველა დაშვება რის შედეგადაც მიღებული მონაცემები). ასევე აღწერილი უნდა იყოს აქვს თუ არა პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს პროდუქციის დისტრიბუციის გამოცდილება;

2.4.4. ქვეთავი - კონკურენტული გარემო, კონკურენტების დახასიათება

- ამ ქვეთავში აუცილებელი წესით წარმოდგენილი უნდა იყოს:
  - კონკურენტი კომპანიები, განსხვავებით 2.3.4. პუნქტისაგან, შეფასებული უნდა იყოს უშუალოდ კომპანიები, რომლებიც მოღვაწეობენ იმ მიზნობრივ ბაზრებზე სადაც დაგეგმილია შესვლა, შეფასებული უნდა იყოს მათი გამოცდილება, პროდუქციის სპექტრი. რა თქმა უნდა ძირითად შემთხვევებში ყველა კონკურენტი კომპანიის ჩამოთვლა იქნება შეუძლებელი, ამ შემთხვევაში შეფასებული უნდა იყოს ბაზრის ლიდერი კომპანიები (რომელი კომპანია წარმოადგენს ბაზრის ლიდერს, შეფასებითია. დასაბუთებული უნდა იყოს რა ფაქტებსა და გარემოებებს ეყრდნობა მსჯელობა). შესაძლებელია ასევე დარგის საერთო მახასიათებლების გამოყოფა და დარგში მომუშავე კომპანიების საერთო დახასიათება;

2.4.5. ქვეთავი - გაყიდვების გეგმა და მიზნობრივ ბაზარზე წილის საპროგნოზო მოცულობა

- ამ ქვეთავში აუცილებელი წესით წარმოდგენილი უნდა იყოს:
  - გეგმიური 5 წლის გაყიდვების გეგმა წარმოებული პროდუქციის სახეობების მიხედვით ფულად და რაოდენობრივ ან მოცულობით გამოხატულებში (სააგენტოსთან შეთანხმებული ფორმატით). დეტალიზაცია უნდა განხორციელდეს პროდუქციის ერთგვაროვანი სახეობების დონემდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეფუთვა / დაფასოება განსხვავებულია სხვადასხვა მიზნობრივი სეგმენტისათვის ან სხვადასხვა ბაზრისათვის;
  - ახსნილი უნდა იყოს რატომ არის დაგეგმილი რეალიზაციის ზრდის წარმოდგენილი ტემპი, ან რატომ არ იზრდება;
  - წარმოდგენილი გაყიდვების გეგმის შესრულების შემთხვევაში შესაბამის ბაზრებზე კომპანიის წილი. ბაზრების მონაცემები უნდა ემთხვეოდეს 2.4.1. პუნქტში მითითებულ ბაზრების შეფასებით მოცულობებს; წარმოდგენილი უნდა იყოს ის დაშვებები რომელსაც ეყრდნობა პროგნოზი;

2.4.6. ქვეთავი - გაყიდვების სეზონურობა

- ამ ქვეთავში აუცილებელი წესით წარმოდგენილი უნდა იყოს:
  - ახასიათებს თუ არა საწარმოებელი პროდუქტის რეალიზაციას სეზონურობა და რითი არის განპირობებული;
  - ფულად გამოხატულებაში რა მოცულობით არის ასახული გაყიდვების გეგმაში;

2.4.7. ქვეთავი - სარეალიზაციო არხებისა და დისტრიბუციის მეთოდიკის აღწერა

- ამ ქვეთავში აუცილებელი წესით წარმოდგენილი უნდა იყოს:
  - რა ტიპის სარეალიზაციო არხების გამოყენება იგეგმება წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის მიზნით;
  - დისტრიბუციის მეთოდიკის დეტალური აღწერა - საკუთარი დისტრიბუციის შემთხვევაში მანქანების რაოდენობა, ობიექტების რაოდენობა, პროდუქციის სავაჭრო ობიექტებისათვის მიწოდების სიხშირე, საწყობიდან ქსელში დისტრიბუციის დეტალები, პრესელერების რაოდენობა (უნდა შეესაბამებოდეს საწარმოს პერსონალში მითითებულ მონაცემებს), ფულადი სახსრების მიღების პერიოდულობა და ა.შ. საბითუმო რეალიზაციის შემთხვევაში - სადისტრიბუციო / შემსყიდველ კომპანიასთან თანამშრომლობის მაქსიმალურად დეტალიზებული პირობები - რეალიზებული პროდუქციის ღირებულების მიღების პერიოდულობიდან დაწყებული სადისტრიბუციო კომპანიისათვის / ებისათვის მიწოდების დეტალების ჩათვლით, სადისტრიბუციო კომპანიის ვალდებულებები და ფასნამატი (რიცხვები უნდა ემთხვეოდეს ფასწარმოქმნის ქვეთავში მითითებულ მონაცემებს);

2.4.8. ქვეთავი - მარკეტინგი

- ქვეთავი აუცილებელი წესით წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს მიერ იგეგმება ადგილობრივი საცალო სამომხმარებლო ბაზრისათვის საბოლოო პროდუქციის წარმოება, მიუხედავად იმისა კომპანია გეგმავს თუ არა წარმოებული პროდუქციის საკუთარი ძალებით დისტრიბუციას.

  ქვეთავში აღწერილი უნდა იყოს პროდუქციის რეალიზაციის სტიმულირების მიზნით, დროში სავარაუდოდ გაწერილი მარკეტინგული აქტივობები (ბრენდირებიდან და რეკლამირებიდან დაწყებული სავაჭრო ობიექტებში დახლზე განთავსების / დახლის იჯარის ჩათვლით) და ბიუჯეტი (მარკეტინგის ბიუჯეტი შესაბამისად ასახული უნდა იყოს ფინანსურ უწყისებში). იმ შემთხვევაში თუ არ არის დაგეგმილი მარკეტინგული აქტივობები, დასაბუთებული უნდა იყოს ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზი;

2.5. თავი - წარმოება და ძირითადი მატერიალური საშუალებები

2.5.1. ქვეთავი - საწარმოს მდებარეობა

- ამ ქვეთავში აუცილებელი წესით წარმოდგენილი უნდა იყოს:
  - საწარმოს ზუსტი მისამართი და მიმდინარე მესაკუთრე (დანართად წარმოდგენილი უნდა იყოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან), იმ შემთხვევაში, თუ განიხილება რამოდენიმე შესაძლებლობა - მითითებული უნდა იყოს ყველა მისამართი;
  - აღწერილი უნდა იყოს გადაწყვეტილების მიღების განმაპირობებელი ფაქტორები;

- დასაბუთებული უნდა იყოს მოცემული მდებარეობის / ების შესაბამისობა საწარმოს სპეციფიკასთან;
- იმ შემთხვევაში თუ დაგეგმილია საწარმოსათვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთის შეძენა (პროექტის ფარგლებში არ ფინანსდება), წარმოდგენილი უნდა იყოს შესყიდვის დეტალები და დადასტურებული შესყიდვის მზაობა იმ შემთხვევაში, თუ ბიზნეს გეგმის თანადაფინანსების შესახებ მიღებული იქნება დადებითი გადაწყვეტილება. თუ მიწის/შენობა-ნაგებობების მიღება დაგეგმილია სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან საინვესტიციო ვალდებულებების შესრულების სანაცვლოდ, აღწერილი უნდა იყოს ინფორმაცია თანმდევი ვალდებულებების შესახებ (გასათვალისწინებელია, რომ პროექტით გათვალისწინებული სააგენტოს თანადაფინანსების თანხით განსახორციელებული ინვესტიცია, არ ჩაითვლება აღნიშნული ვალდებულების შესრულებაში)

2.5.2. ქვეთავი - საწარმოო პროცესის დეტალური აღწერა

- ამ ქვეთავში აუცილებელი წესით წარმოდგენილი უნდა იყოს:
  - თითოეული პროდუქტის სახეობის მაქსიმალურად დეტალიზებული საწარმოო პროცესი ნედლეულის მიღებიდან დაწყებული მზა პროდუქციის დასაწყობებით დასრულებული (სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი დამატებით წარმოდგენილი იყოს სქემატურად);

    საწარმო პროცესის აღწერა უნდა მოიცავდეს წარმოების თითოეული ეტაპისათვის: ეტაპის დანიშნულება, ეტაპის ხანგრძლივობა, დანადგარი რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ესა თუ ის ეტაპი, საწარმო პროცესის ეტაპის განხორციელებაში დასაქმებულთა რაოდენობა და კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნა.

    აუცილებელი წესით გამოყოფილი და შეფასებული უნდა იყოს მთლიანი საწარმოო პროცესის ე.წ. Bottle Neck.

2.5.3. ქვეთავი - მანქანა დანადგარებისა და სხვა მატერიალური აქტივების დეტალური აღწერა

- აუცილებელი წესით წარმოდგენილი უნდა იყოს საწარმო პროცესით გათვალისწინებული ყველა მანქანა დანადგარი და სხვა მატერიალური აქტივი, წარმადობა (ან შესაბამისი მონაცემი მაგ: ტვირთამწეობა), მწარმოებელი, მდგომარეობა (ახალი / მეორადი) მათი შეძენის წყაროები, შეძენის პირობები. წარმოდგენილი უნდა იყოს მათ შორის დანართის სახით.

2.5.4. ქვეთავი - შენობა ნაგებობების დეტალური აღწერა

- აუცილებელი წესით წარმოდგენილი უნდა იყოს საწარმო პროცესის უწყვეტი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფართის მოცულობა. ამ ფართის გადანაწილება საწარმოო პროცესების მიხედვით;

2.6. თავი - ნედლეული

2.6.1. ქვეთავი - საწარმოო პროცესში გამოყენებული ნედლეული და დამხმარე მასალები

- აუცილებელი წესით წარმოდგენილი უნდა იყოს:
  - საწარმოო პროცესში გამოყენებული ე.წ. ძირითადი / საბაზისო ნედლეულის სახეობების აღწერა - მახასიათებლები (იგულისხმება გაზომვადი / თვლადი მახასიათებლები - მაგ: ტენიანობა, დასაშვები სიდამპლის დონე პროცენტებში, სიმწიფის სტადია, კალიბრი, თბოტევადობა, ენერგეტიკული ღირებულება და სხვა სპეციფიური მახასიათებლები წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით);
  - ნედლეული გამოსავლიანობა - 1 ტონა / 1 კგ მზა პროდუქციის საწარმოებლად საჭირო ნედლეული მოცულობა, ასევე დანაკარგები;
  - ე.წ. ძირითადი / საბაზისო ნედლეულის ადგილობრივი წარმოება უკანასკნელი მინიმუმ 3 წლის განმავლობაში, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე მიზნობრივი რეგიონისა და შეძლებისდაგვარად მიზნობრივი რაიონის მასშტაბით;
  - მზა პროდუქციის საწარმოებლად აუცილებელი დამხმარე და შესაფუთი მასალების, დეტალური აღწერა, ასევე ინგრედიენტები. საჭირო მოცულებები 1 ტონა / 1 კგ მზა პროდუქციის საწარმოებლად;
  - ნედლეულის დასაწყობების პირობები;
  - ცხრილის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი, დაგეგმილი 5 წლის განმავლობაში ყოველწლიურად შესაძენი ნედლეულის, დამხმარე მასალებისა და ინგრედიენტების მოცულობები და მათი ღირებულება (ცხრილის მონაცემები შესაბამისობაში უნდა იყოს ერთის მხრივ გამოსავლიანობასთან, მეორეს მხრივ საწარმოო გეგმასთან);

2.6.2. ქვეთავი - ნედლეულის მოწოდების წყაროები

- აუცილებელი წესით წარმოდგენილი უნდა იყოს:
  - ძირითადი / საბაზისო ნედლეულის მიწოდების წყაროები, დასაბუთებული უნდა იყოს 2,6,1 პუნქტში მითითებული მოცულობით ნედლეულით საწარმოს უზრუნველყოფის შესაძლებლობა. წარმოდგენილი უნდა იყოს დასაბუთებისას გამოყენებული მონაცემების წყაროები (იმ შემთხვევაში თუ მონაცემების ოფიციალური წყარო არ არსებობს, წარმოდგენილი უნდა იყოს მეთოდოლოგია, რომლის გამოყენებითაც მოხდა სანედლეულო ბაზის არგუმენტაცია);
  - უნდა განხორციელდეს აღწერა, როგორ მოხდება ნედლეულის შეძენის პროცესი, ნედლეულის სპეციფიკის გათვალისწინებით, მათ შორის მიმღები პუნქტების ორგანიზების დეტალები (მიმღები პუნქტების ორგანიზების დეტალების აღწერა არ არის საჭირო იმ შემხვევებში თუ ნედლეულის შეძენა ხორციელდება კომპანიებისაგან ან დამამზადებლებისაგან);

- შესაფუთი და დამხმარე მასალების მოწოდების წყაროები, მომწოდებელი კომპანიები და მათთან თანამშორმლობის პირობები (შესასყიდი მინიმალური მოცულობები, მოწოდების პირობები და ა.შ.);

2.6.3. ქვეთავი - ადგილობრივი და იმპორტირებული ნედლეულის შედარებითი დახასიათება

- ეს ქვეთავი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ძირითადი / საბაზო ნედლეულის იმპორტი ხორციელდება საქართველოში საწარმოო მასშტაბებით (მაგ: სიმინდის მარცვალი, მზესუმზირა, ხორცი და ა.შ.), ყველა სხვა შემთხვევაში ქვეთავი შესაძლებელია საერთოდ არ ფიგურირებდეს ბიზნეს გეგმაში.
  - უნდა განხორციელდეს ისეთი მონაცემების შედარება როგორიც არის თვლადი მახასიათებლები, ფასი, მიწოდების სტაბილურობა, მიწოდებული ნედლეული ერთგვაროვნება, ხარისხი და ა.შ.;

2.6.4. ქვეთავი - ნედლეულის ფასები და მისი დინამიკა

- აუცილებელი წესით წარმოდგენილი უნდა იყოს:
  - ყველა ძირითადი / საბაზო ნედლეულის ფასების დინამიკა უკანასკენლი 3 წლის (სეზონის) განმავლობაში ფასების დინამიკა, როგორც ადგილობრივ ნედლეულზე, ასევე იმპორტირებულ ნედლეულზე (იმპორტირებული ნედლეულის ფასების დინამიკა აუცილებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება საქართველოში მისი იმპორტირება საწარმოო მასშტაბებით);

2.7. თავი - მარაგები

2.7.1. ქვეთავი - მზა პროდუქციისა და ნედლეულის მარაგების მართვის სტრატეგია

- აუცილებელი წესით წარმოდგენილი უნდა იყოს:
  - ნედლეულის მართვის სტრატეგია, რაც გულისხმობს როგორც ძირითადი / საბაზისო ნედლეულის შესყიდვისა და გადამუშავების პერიოდულობას, ასევე დამხმარე და შესაფუთი მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის პერიოდულობას. (ნედლეულის მართვის სტრატეგია შესაბამისობაში უნდა იყოს ფინანსურ უწყისებთან)
  - მზა პროდუქციის მარაგების მართვის სტრატეგია, რაც გულისხმობს როგორც მარაგების დასაწყობების პირობებს, ასევე ახსნილი უნდა იყოს დისტრიბუციის მეთოდიკის გათვალისიწნებით, როგორ განახორციელებს საწარმო მზა პროდუქციის მიწოდების ორგანიზებას, ერთროულად ქსელში / პარტნიორებთან ან დისტრიბუტორებთან, რა მოცულობის მარაგები იქნება გადატვირთული. ექნება თუ არა საწარმოს დამატებითი საწყობები და ა.შ.;

2.7.2. ქვეთავი - სასაწყობე მეურნეობის / ების მდებარეობა და აღწერა

- ქვეთავში აღწერილი უნდა იყოს ნედლეულისა და მზა პროდუქციის სასაწყობე მეურნეობები, ასევე ექნება თუ არა საწარმოს დამატებითი საწყობები მიწოდების უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით;

2.8. თავი - საინვესტიციო გეგმა

2.8.1. ქვეთავი - პროექტის ჯამური ღირებულება და დაფინანსების წყაროები

- ქვეთავში წარმოდგენილი უნდა იყოს ცხრილის სახით პროექტის ჯამური ღირებულება მუხლების მიხედვით და თითოეული მუხლის დაფინანსების წყაროს მითითებით.

  შენიშვნა: - პროექტის ფარგლებში არ ფინანსდება სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვა, მიწისა და შენობა ნაგებობების შეძენა. შესაბამისად პროექტის ჯამურ ღირებულებაში გამიჯნული უნდა იყოს „გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის პირობებით დასაფინანსებელი ძირითადი საშუალებები (შენობა-ნაგებობების სამშენებლო/სარემონტო სამუშაოები,საწარმოს კომუნიკაციებით უზრუნველყოფა, მანქანა-დანადგარების და სპეც. ტექნიკის შეძენა), სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობაც სწორედ აღნიშნული თანხიდან უნდა იყოს გამოყვანილი. (პროექტის ფარგლებში დასაფინანსებელი ძირითადი საშუალებების მთლიანი ღირებულებიდან შესაბამისი %)

  მიუხედავად იმისა, რომ თანადაფინანსების პროექტი არ ითვალისწინებს საბრუნავი და საოპერაციო ხარჯების დაფინანსებას, აუცილებლად უნდა იყოს აღწერილი და წარმოდგენილი ტექსტურ და ფინანსურ მოდელში ბენეფიციარის მიერ აღნიშნული ხარჯების გაწევის დეტალები. დაფინანსების წყაროები (მათ შორის შესაძლებელია განხილული იყოს ნაწილობრივ არაფულადი წყაროც, მათ შორის კომპანიის ან/და დამფუძნებელ პარტნიორთა საკუთრებაში არსებული სანედლეულო ბაზაც) . შესაბამისად სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობის გაანგარიშებაში არ მიიღებს მონაწილეობას არც საბრუნავი და საოპერაციო ხარჯები.

  შენიშვნა - დაფინასების წყაროები გადანაწილებული უნდა იყოს იმ პრინციპების დაცვით, რომელიც დადგენილია გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის პირობებით;

2.8.2. ქვეთავი - ფიქსირებულ აქტივებში ინვესტირების დეტალები

ქვეთავში დეტალურად წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა ძირითადი საშუალების ჩამონათვალი, რომლის შექმნაც იგეგმება შენობა ნაგებობების მშენებლობის, სარემონტო სამუშაოების ჩათვლით, მომწოდებელი / შემსრულებელი (შესაძლოა, ბიზნეს გეგმის შედგენის პერიოდში არ იყოს საბოლოოდ შერჩეული მომწოდებელი / შემსრულებელი, ამ შემთხვევაში ახსნილი უნდა იყოს მიზეზები და ის გარემოება რატომ არის ნაკლებად მნიშვნელოვანი) მათი ღირებულება, საიდანაც გამოყოფილი უნდა იყოს დღგ, ტრანსპორტირების ღირებულება, ინსტალაციის ღირებულება და სხვა ხარჯები. გარდა შემთხვევებისა, როდესაც ტრანსპორტირება და ინსტალაცია ცალკე ხარჯად არ არის წარმოდგენილი ინვოისში / კონტრაქტში (ინვოისები / კონტრაქტები უნდა იყოს წარმოდგენილი ბიზნეს გეგმის დანართად, იმ შემთხვევაში, თუ მომწოდებლის / შემსრულებლის

მიერ არ არის ბიზნეს გეგმის შედგენის პროცესში მოწოდებული საბოლოო ინვოისი, წარმოდგენილი უნდა იყოს მიმოწერა, ან ის წყარო რომლის გათვალისწინებითაც მოხდა ღირებულების დადგენა), აქვე მითითებული უნდა იყოს თითოეული მუხლის დაფინანსების წყარო, რომელიც თავის მხრივ უნდა შეესაბამებოდეს გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტით დადგენილ პირობებს, რომელიც გამოქვეყნებულია ვებ გვერდზე - www.rda.gov.ge ;

2.8.3. ქვეთავი - საბრუნავ საშუალებებში ინვესტირების დეტალები

- ქვეთავში დეტალურად უნდა იყოს წარმოდგენილი საბრუნავი საშუალებებისათვის გამოყოფილი ხარჯების გადანაწილება და მისი არგუმენტაცია;

2.8.4. *ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი მიუხედავად იმისა, რომ პროექტის ფარგლებში ფინანსდება მხოლოდ ძირითადი საშუალებები . მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია, თუ როგორ მოხდება საწარმოს საბრუნავი საშუალებებით უზრუნველყოფა და რა წყაროების გამოყენებით .***ქვეთავი - საწყისი და საოპერაციო ხარჯების დაფინანსების დეტალები**

- ქვეთავში დეტალურად უნდა იყოს წარმოდგენილი საოპერაციო ხარჯების გადანაწილება და მისი არგუმენტაცია;
- *ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი მიუხედავად იმისა, რომ პროექტის ფარგლებში ფინანსდება მხოლოდ ძირითადი საშუალებები . მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია თუ როგორ მოხდება საწარმოს საოპერაციო ხარჯების დაფინანსება და რა წყაროების გამოყენებით.*
-

2.8.5. სამოქმედო გეგმა

- საწარმოს შექმნის პროცესების დეტალური აღწერა სავარაუდო პერიოდების (თარიღების), შემსრულებლების (ფიზიკური პირები / კომპანიები), პროცესების ურთიერთდამოკიდებულების ბმულებისა და დაფინანსების წყაროების ათვისების პერიოდულობის მითითებით;

2.9. თავი - ფინანსური გეგმა

ზოგადი მიდგომები - ფინანსური გეგმის შედგენისას დაცული უნდა იყოს შემდეგი ძირითადი პრინციპები:

- ფინანსური გეგმა შედგენილი უნდა იყოს ლარებში, თუმცა სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს აშშ დოლარში მისი გადაკეთება.
- გეგმიური პერიოდი მოიცავს მინიმუმ 5 წელიწადს (მინიმუმ 60 თვე);
- მოგება ზარალის და საბალანსო უწყისები შედგენილი უნდა იყოს ყოველწლიური, ხოლო ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი ყოველთვიური, ამასთან ბიზნეს გეგმაში ხდება მხოლოდ ყოველწლიური უწყისების წარმოდგენა („ჩასმა“), ხოლო ელექტორნული ფორმით აუცილებელი წესით წარმოდგენილი უნდა იყოს ფულადი ნაკადების მოძრაობის ყოველთვიური უწყისი;

- ფინანსური უწყისები და უწყისების შედგენისას გამოყენებული დამხმარე ცხრილები წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე ელექტორული ფორმით MS Excel ფორმატში, ფორმულების მითითებით, იმგვარად რომ, ფინანსურ უწყისებში მითითებული ყველა მონაცემი იყოს მიკვლევადი;
- საბალანსო უწყისი უნდა იყოს დაბალანსებული MS Excel ფორმულების გამოყენებით - დასაშვებია მექანიკური კორექცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი კორექციის მოცულობა არ აღემატება ჯამურად აქტივების მოცულობის 1%-ს;
- ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისში მუხლი - ბალანსი პერიოდის ბოლოს უნდა იყოს დადებითი რიცხვი;
- სააგენტოს თანმხვედრი თანადაფინანსება ასახული უნდა იყოს საბალანსო უწყისში გაუნაწილებელი მოგებისა და მფლობელთა კაპიტალის თავში ცალკე მუხლად, ამავდროულად მოგება ზარალის უწყისში მიღებული თანადაფინანსება უნდა მონაწილეობდეს მოგების გადასახადის გაანგარიშებაში თანადაფინანსების ფაქტობრივად მიღების პროპორციულად.
- ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისში სესხის საპროცენტო სარგებლის ხარჯის ასახვა უნდა განხორციელდეს სესხის დაფარვის გეგმიური გრაფიკში საშეღავათო პერიოდის შესაბამისად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო მოგება ზარალის უწყისში - საპროცენტო განაკვეთის ხარჯი გატარებული უნდა იყოს დარიცხვის შესაბამისად, ამასთან ერთად საპროცენტო ხარჯი ორივე უწყისში გატარებული უნდა იყოს სრულად, და არა მხოლოდ ბენეფიციარის მიერ გადასახდელი ნაწილი (შეღავათიანი აგროკრედიტის შემთხვევაში).
- სააგენტოს მიერ თანადაფინანსებული საპროცენტო ხარჯი გატარებული უნდა იყოს მოგება ზარალი უწყისში არასაოპერაციო შემოსავალში, ხოლო ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისში - შემოდინებებში ფინანსური აქტოვობებიდან;
- მოგება ზარალის უწყისში გამიჯნული უნდა იყოს არსებობის შემთხვევაში საექსპორტო და ადგილობრივი რეალიზაცია;
- დღგ - ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისში ასახული უნდა იყოს დღგ როგორც შემოდინებების ნაწილში ასევე ხარჯის ნაწილში, ხოლო მოგება ზარალის უწყისში არ უნდა იყოს ასახული დღგ არც რეალიზაციის ნაწილში, არც ხარჯის ნაწილში.
- საბალანსო უწყისში ფიქსირებული აქტივების ღირებულება ასახული უნდა იყოს დღგ - ს გარეშე;
- საბალანსო უწყისში გამიჯნული უნდა იყოს გრძელვადიანი სესხი მიმდინარე ნაწილი და შესაბამისად ასახული უნდა იყოს მიმდინარე ვალდებულებებში;
- ფინანსური უწყისები უნდა იყოს მაქსიმალურად დეტალიზებული და შეესაბამებოდეს სააგენტოს მიერ შემუშავებულ ფორმატს (იხ. ელექტრონული დანართი), თუმცა შესაძლებელია ფორმატის მორგება საწარმოს სპეციფიკაზე ძირითადი პრინციპების დაცვით.

2.10. ქვეთავი - დაშვებები

- ქვეთავში აღწერილი უნდა იყოს ყველა ის დაშვება რომელთა საფუძველზე მოხდა ფინანსური უწყისები აგება:
  - ბიზნეს გეგმაში გათვალისწინებული სესხის / ების ან სალიზინგო დაფინანსების პირობები (გათვალისწინებული პირობები უნდა შეესაბამებოდეს გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტით დადგენილ პირობებს, რომელიც გამოქვეყნებულია - www.rda.gov.ge);
  - ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის პრინციპი და მისი ყოველწლიური მოცულობა;
  - უცხოური ვალუტის კურსი;
  - რეალიზაციის პრინციპი და დებიტორული დავალიანების მიღების პერიოდი;
  - მზა პროდუქციის თვითღირებულება მთელი პერიოდის განმავლობაში;
  - ნედლეულის შეძენის პრინციპი;
  - ნედლეულის დანაკარგი და გამოსავლიანობა (საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე);
  - მზა პროდუქციის ჩამოწერის პრინციპი (საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე);
  - პირდაპირ და ფიქსირებული ხარჯების მუხლები;
  - ნულოვანი მოგების დათვლის პრინციპი;
  - და სხვა მნიშვნელოვანი დაშვებები რომელიც გამოყენებულია ფინანსური მოდელის აგებისას.

2.11. ქვეთავი - შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურა

2.12. ქვეთავი - საპროგნოზო ფინანსური უწყისები

- ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი - ყოველწლიური
- მოგება ზარალის უწყისი - ყოველწლიური,
- საბალანსო უწყისი - ყოველწლიური,

2.13. ქვეთავი - ნულოვანი მოგების წერტილი

- აუცილებელი წესით წარმოდგენილი უნდა იყოს როგოც ფულად და რეალიზებული პროდუქციის მოცულობით გამოხატულებაში, ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს პროდუქციის ასორტიმენტი;

2.14. ფინანსური კოეფიციენტების ანალიზი:

- ქვეთავი მოიცავს აუცილებელი ფინანსური კოეფიციენტებს და მათი ანალიზს, კოეფიციენტები დათვლილი უნდა იყოს მთელ დაგეგმილ პერიოდზე და ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეულის საშუალო და ჯამური მაჩვენებელი.
- აუცილებელი კოეფიციენტების ჩამონათვალი და მათი გაანგარიშების ფორმულები:

  ლიკვიდურობის კოეფიციენტები:

- მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Current Ratio) - მიმდინარე აქტივები / მიმდინარე ვალდებულებები;
- სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Quick Ratio) - (მიმდინარე აქტივებს-მარაგები) / მიმდინარე ვალდებულებებზე;
- საბრუნავი კაპიტალი (Working Capital) – მიმდინარე აქტივებს-მიმდინარე ვალდებულებები

მომგებიანობის კოეფიციენტები:

- ერთობლივი მოგების მარჟა (Gross Profit Margin) - ერთობლივი მოგება / შემოსავალი რეალიზაციიდან;
- წმინდა მოგების მარჟა (Net Profit Margin) - წმინდა მოგება / შემოსავალი რეალიზაციიდან;

სესხის კოეფიციენტები:

- ვალდებულებები / აქტივებთან (DEBT TO ASSETS) - (მიმდინარე ვალდებულებებს+გრძელვადიანი ვალდებულებები)/მთლიან აქტივებზე;
- ვალდებულებები / საკუთარ კაპიტალთან (DEBT TO EQUITY) - (მიმდინარე ვალდებულებებს+გრძელვადიანი ვალდებულებები)/მთლიან კაპიტალზე;
- საპროცენტო განაკვეთის დაფარვის კოეფიციენტი (ICR) - (წმინდა მოგებას+ სესხებზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთი ხარჯი + ცვეთის ხარჯი) / სესხებზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთი ხარჯი;
- სესხის მომსახურების დაფარვის კოეფიციენტი (DSCR) - (წმინდა მოგებას + სესხებზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთი ხარჯი + ცვეთის ხარჯი) / სეხის მომსახურების ხარჯი (ძირითადი თანახა + საპროცენტო განაკვეთი - Cash flow დან);
- სესხის მომსახურებისათვის ნაღდი ფულის კოეფიციენტი (CADS Ratio) - (ბალანსი პერიოდის ბოლოს+ სეხის მომსახურების ხარჯი (ძირითადი თანახა + საპროცენტო განაკვეთი)/ (სეხის მომსახურების ხარჯი (ძირითადი თანახა + საპროცენტო განაკვეთი)

ეფექტურობის კოეფიციენტები:

- მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტი (Inventory turnover) - რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება / პერიოდის საშუალო მარაგებზე;
- მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტი დღეებში (DOH) - 365 / (რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება / პერიოდის საშუალო მარაგებზე)
- ROE - წმინდა მოგება/მთლიან აქტივებზე
- ROA - წმინდა მოგება/მთლიან კაპიტალზე

სხვა კოეფიციენტები - ბიზნესის / საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე შეზღუდული არ არის სხვა კოეფიციენტების დამატებაც, ამგვარი დამატება შესაძლებელია განხორციელდეს ბენეფიციარის ან/და სააგენტოს მოთხოვნითაც.

- ქვეთავში გაანალიზებული უნდა იყოს ყველა კოეფიციენტი, რამდენად მისაღებია თითეული მათგანი;

2.15. თავი - რეგულირება / სერტიფიცირება

სახემწიფო რეგულირებისა და/ან ლიცენზირების რეჟიმის აღწერა

2.16. თავი - დანართები

- ჩამოთვლილი უნდა იყოს ყველა დანართი რომელიც ბიზნეს გეგმის ერთიან დოკუმენტში არის წარმოდგენილი, ამასთან ბიზნეს გეგმის ტექსტში უნდა იყოს მითითება აღნიშნული დანართების შესახებ.

ნაწილი 2 - პრეზენტაციის სტრუქტურა და შინაარსი

პრეზენტაციის წარმოდგენა ხორციელდება PPT ფორმატში და არ უნდა აღემატებოდეს 20 სლაიდს, პრეზენტაცია აუცილებელი წესით უნდა მოცავდეს:

1. თავფურცელი:
   - ბენეფიციარი;
   - დარგი;
   - რაიონი, რეგიონი;
   - პროექტის ჯამური ღირებულება
2. პროექტის აღწერა და დაფინანსების სტრუქტურა (სტრუქტურაში იგულისხმება სააგენტოს თანადაფინანსება, სესხი და საკუთარი თანამონაწილეობა):
3. მფლობელების სტრუქტურა და საკვანძო პერსონალი - საკვანძო პერსონალი მაქს 2-3 ადამიანი (რომლებიც მართლა ძირითადები არიან) და თითო წინადადება მათ გამოცდილებასთან დაკავშირებით;
4. საბოლოო პროდუქტის / ების აღწერა და მიზნობრივი ბაზარი.
5. ნულოვანი მოგების გათვლა (ნულოვანი მოგების წერტილი - წარმოებული პროდუქციის რაოდენობრივი და თანხობრივი მონაცემების მითითებით. ასევე რა რაოდენობის ნედლეული არის საჭირო აღნიშნული მოცულობის პროდუქციის საწარმოებლად). დაგეგმილი რეალიზაციის მოცულობები და გეგმიურად რა პერიოდში გადის ნულოვანზე;
6. მიზნობრივი ბაზრის მოცულობის მოკლე ანალიზი.
7. სანედლეულო ბაზის აღწერა
8. მოგება ზარალის უწყისი - სლაიდი (მისი გარჩევა რომ შესაძლებელი იყოს, და პროცენტები რომ ჩანდეს, შესაძლებელია ნაწილ ნაწილ, ან შეკვეცილი ვარიანტი ძირითად მომენტები რომ ჩანდეს)
9. აუცილებელი კოეფიციენტები.

10. დამატებითი სლაიდები